ლენინურ ვასტფეი

კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო!

იბრძოლეთ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის! აამაღლეთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა! იბრძოლეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მაღალი რენტაბელობისათვის!

— სსრკ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის საკითხებზე მოწოდებებიდან.

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 ოქტომბერი პარასკევი 1968

ფასი 4 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 245 (14241)

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებას

პრაღა, 16 ოქტომბერი. (საკადესი). დღეს აქ სსრ კავშირის მთავრობასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას შორის დიდო ხელშეკრულება ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დროებითი ყოფნის პირობების შესახებ.

ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირის სახელით ხელი მოაწერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა,** ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ **ო. ჩერნიკმა.**

ხელშეკრულება შემუშავებულ იქნა შესაბამისად შეთანხმებისა, რომელიც მიღწეული იყო საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის ა. წ. 23-26 აგვისტოსა და 3-4 ოქტომბრის, აგრეთვე პრაღის ა. წ. 16 ოქტომბრის მოლაპარაკების მსვლელობაში, და შესაბამისად ბრატისლავის ა. წ. 3 აგვისტოს თათბირის განცხადებისა.

ხელშეკრულება გამოქვეყნდება მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს ორივე მხარე.

ხელშეკრულების ხელმოწერისას ა. ნ. კოსიგინმა და ო. ჩერნიკმა სიტყვები წარმოთქვეს.

ა. ნ. კოსიგინი მოსკოვში დაბრუნდა

პრაღა, 17 ოქტომბერი. (საკადესი). დღეს პრაღიდან სამშობლოში გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** რომელიც ჩეხოსლოვაკიაში იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით. ა. ნ. კოსიგინთან ერთად გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. ა. გრეჩკო.**

17 ოქტომბერს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** რომელიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით პრაღაში იყო.

ა. ნ. კოსიგინთან ერთად დაბრუნდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო** და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. ა. გრეჩკო.** (საკადესი).

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი

მოსკოვში ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით მიმდინარეობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

სესია განიხილავს ნამუშევრებს, რომლებიც კონკურსში მონაწილეობისათვის არის შერჩეული. სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება გამოქვეყნდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავისათვის. (საკადესი).

მეცნიერული თანამშრომლობა

სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიებმა ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ მხარეები ერთად შეიმუშავებენ მზის აქტივობას, კოსმოსური სხივებს, დედამიწის მაგნეტიზმს, იონოსფეროს, ენერგეტიკის ახალ პრობლემებს. ორი ქვეყნის მეცნიერები მოაწყობენ აგრეთვე გამოკვლევებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. პ. ვინოგრადოვმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და კუბის მეცნიერებათა ურთიერთობა წარმატებით ვითარდება სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე და ორივე მხარის მეცნიერული ინტერესების გათვალისწინებით.

კუბის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ტირსო საენსმა საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, თუ რა უანგაროდ ეხმარებიან საბჭოთა მეცნიერები კუბის ახალგაზრდა მეცნიერებას. მან განაცხადა, რომ განუწყვეტლივ ვითარდება სსრ კავშირისა და კუბის მეცნიერული ურთიერთობა. (საკადესი).

მეცნიერ-ქიმიკოსთა სკოლამ მუშაობა დაამთავრა

გათუმი, 17 ოქტომბერი. (საკადესი). მუშაობა დაამთავრა რადიაციული ქიმიის სრულიად საკავშირო სკოლამ, რომელიც მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და ათ დღეს შიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერი-ქიმიკოსები. სკოლის მონაწილეებმა მოისმინეს 30-ზე მეტი მოხსენება და ლექცია, რომლებშიც გაშუქებული იყო უკანასკნელი მიღწევები რადიაციული ქიმიის განვითარების დარგში.

მიწათმოქმედთა ალოობა

ეემოდგომის ამ თბილ დღეებში საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები დაძაბულად მუშაობენ, ისწრაფვიან მიმდინარე წელი აღნიშნონ ახალი საწარმოო წარმატებებით ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ საყოველთაო სახალხო შეჯიბრებაში.

ვალდებულებაც შესრულებულია!

სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა სამშობლოს უპატაკეს, რომ შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დავალების სახელმწიფო გეგმა. დღეს კი ისინი ამაყად აცხადებენ: „ვალდებულება — სამშობლოსათვის მიგვეცა 215 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი — აგრეთვე შესრულებულია!“ 16 ოქტომბრისათვის ჩაის ფაბრიკებმა გადასამუშავებლად მიიღეს 215.135 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. აი რა წვლილი შეიტანეს ამ წარმატებაში საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების მეჩაიეებმა:

ავტონომიური რესპუბლიკები და რაიონები	1968 წლის გეგმა	შესრულება	გეგმის შესრულების პროცენტი
	ტონობით		
აჭარის	33.030	34.604	104,7
აფხაზეთის	33.835	37.972	108,1
მახარაძის	39.230	39.411	100,1
ჩოხატაურის	6.100	5.998	98,3
ლანჩხუთის	10.900	10.992	100,8
სამტრედიის	1.320	1.327	100,5
წულუკიძის	4.850	4.360	89,9
წყალტუბოს	4.670	5.000	107,0
ქ. ტყიბულის	3.900	4.008	102,8
ცხაკაიას	4.845	4.652	107,1
აბაშის	490	510	104,0
გეგეჭკორის	9.950	9.955	100,1
ზუგდიდის	27.195	28.072	103,2
ფალიასურის	12.600	14.082	111,8
ჩხოროწყუს	8.750	8.887	101,5
ხობის	4.050	4.073	100,5
თერჯოლის	400	555	138,7
ზესტაფონის	45	45	100,0
ქ. ჭიათურა	380	443	116,5
ვანის	180	189	105,0
სულ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში	210.000	215.135	102,4

რთველის გადამწყვეტი დღეები

რთველი გააჩაღეს რესპუბლიკის მევენახეებმაც: ახლა ყურძნის კრეფის გადამწყვეტი დღეებია. ქვემოთ მოყვანილი ცნობა გვიჩვენებს ყურძნის დამზადების გეგმის შესრულებას 17 ოქტომბრისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქები და რაიონები	1968 წლის გეგმა	შესრულება	გეგმის შესრულების პროცენტი
	ტონობით		
ბურჯაანის	41.010	46.377	113,0
სიღნაღის	13.778	15.523	112,6
წითელწყაროს	5.953	9.859	165,6
თელავის	27.265	29.604	108,5
ახმეტის	10.320	13.939	135,0
ყვარლის	14.200	16.779	118,1
ლაგოდეხის	1.400	1.778	126,6
საგარეჯოს	8.790	8.803	100,1
სულ კახეთის რაიონებში	122.716	142.657	116,2
გარდაბნის	5.551	6.555	101,8
მარნეულის	8.485	7.760	91,4
გოლნისის	6.380	5.666	88,8
მცხეთის	5.341	3.538	66,1
დუშეთის	250	28	11,2
თეთრი წყაროს	500	533	106,6
კასპის	6.319	2.605	41,2
გორის	3.705	268	7,2
ხაშურის	2.586	1.328	29,2
ახალციხის	50	5	10,0
ქარელის	150	95	63,3
სულ ქართლის რაიონებში	40.804	27.476	67,3
ორჯონიკიძის	4.846	631	13,0
ზესტაფონის	17.176	5.201	30,2
თერჯოლის	10.500	3.791	36,1
საჩხერის	4.096	1.530	37,3
ქ. ჭიათურა	1.197	313	26,1
ქ. ტყიბული	200	21	10,5
წყალტუბოს	2.870	254	8,8
სამტრედიის	516	58	11,2
წულუკიძის	270	35	12,9
მაიაკოვსკის	9.195	1.922	20,9
ვანის	6.800	1.315	19,3
ჩოხატაურის	880	172	19,5
მახარაძის	250	35	14,0
ლანჩხუთის	100	10	10,0
ცხაკაიას	540	54	10,0
ამბროლაურის	3.200	1.555	48,5
ონის	400	19	4,7
ცაგერის	2.950	101	3,4
აფხაზეთის	4.800	458	9,5
აჭარის	800	18	2,2
სულ დასავლეთ საქართველოში	76.480	17.493	22,8
სულ რესპუბლიკაში	243.000	187.626	78,1
გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით	210.000	132.295	62,9

გაეაქლიეროთ კარტოფილის ამოღების ტემპი

მმკარტოფილემებსაც მეტი საქმე აქვთ. ისინი სარგებლობენ ყოველი მზიანი დღით, რათა ორგანიზებულად დაამთავრონ მოსავლის აღება. მაგრამ, როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, 17 ოქტომბრისათვის ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ ნელა იღებენ კარტოფილს.

ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქი და რაიონები	1968 წლის გეგმა	შესრულება
	ტონობით	
ახალქალაქის	10.050	1.000
ბოგდანოვკის	450	40
ახალციხის	6.330	2.800
ადიგენის	1.115	600
ასპინძის	425	50
ხაშურის	380	422
ბორჯომის	410	185
გარდაბნის	1.420	1.534
მცხეთის	20	163
დუშეთის	100	70
მარნეულის	740	450
გოლნისის	2600	3.022
წალკის	16.960	5.400
თეთრი წყაროს	1.560	1.400
დმანისის	5.840	5.600
თიანეთის	450	79
სამხრეთ ოსეთის	1.070	160
აფხაზეთის	380	121
აჭარის	700	11
სულ	51.000	23.057

გვიპატაკეგენ საბჭოთა მეურნეობის მევენახეებს

მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მეურნეობებმა, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრება გაიმართეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, 16 ოქტომბერს უპატაკეს სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების წლიური გეგმის შესრულება.

ლვინის ქარხნებმა და საგაჭრო ქსელმა საბჭოთა მეურნეობებისაგან მიიღო 49.118 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 48.715 ტონისა.

მეუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, ტრესტის მეურნეობებმა უზრუნველყვეს ზვრების სანიმუშო მოვლა, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე და ოპტიმალურ ვადებში შეასრულეს ყველა ოპერაცია. უკანასკნელ წლებში ახალი ვენახები, სრულ მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ, საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ ტექნიკური და სუფრის ჯიშების ყურძნის წარმოება.

წარმატების მიღწევაში თავისი წვლილი შეიტანეს ნაფარეულის, ახმეტის, მატანის, ხირსის, ყვარლის, გურჯაანის, წინანდლის, ვარკეთილის, სამგორის მეგვინახეობის საბჭოთა მეურნეობებმა, **ახმეტისა** და **ტიბაანის** სანერგე საბჭოთა მეურნეობებმა.

ოკამის, ალის, მანავის, არგვეთის საბჭოთა მეურნეობებში რთველი ჯერ არ დამთავრებულა. მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მეურნეობებმა **ვალდებულება იკისრეს წელს სახელმწიფოს ჩაბარონ 5.000 ტონა ზეგეგმითი ყურძენი.**

(საკადესი).

ერევანი 2750 წლისაა

ჩვენი ინტერვიუ

ჩვენი თხოვნით სომხეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი შეხვდა ერევნის დაარსების 2.750 წლისთავის დღესასწაულის მომწყობი მთავრობის საიუბილეო კომისიის წევრს, სომხეთის დედაქალაქის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ბ. ო. ასტრაბი

დაე მარად ცოცხლობდეს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა და ურღვევი ერთიანობა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებიდან.

ერევანი 2750 წლისა

(დასასრული)

ახალშენებათა სარაჩოებში

ერევანში დღესასწაულის ატმოსფერო იგრძნობა ყოველ ნაბიჯზე. საზეიმოდ მოოთრთვინ ქუჩები და პროსპექტები, მოედნები და ბულვარები. საწარმოებიდან მოდის სახიხარულო ცნობები ათი თვის საწარმოო პროგრამის წარმატებით შესრულების შესახებ.

უკანასკნელ ხანს დედაქალაქში საშუალოდ დღეში მწყობრში დგება ერთი ბუთსართულიანი სახლი. ქალაქს შეემატა მონუმენტური ახალშენებლობანი. იქ, სადაც ერთმანეთს კვეთენ ხალხმრავალი მაგისტრალები — მარქსის სახელობის, 26 კომისრის ქუჩები და ოქტემბერიანის პროსპექტი, საეკლოტაციოდ გადაეცა სომხეთში უდიდესი საცხოვრებელი სახლი. ამ თერთმეტსართულიან სახლში შესახლდა მუშათა და მოსამსახურეთა 270 ოჯახი, 156 ოჯახი შესახლდა „სამეურაის“ ტიპის 14-სართულიან სახლში, რომელიც ოქტემბერიანის პროსპექტზე აშენდა. კონდის მაღლობზე მწყობრში ჩადგა სამი ცხრასართულიანი სახლი. მათ გვერდით შენდება 500-ნომრიანი მაღლივი სასტუმრო „ოდენი“. ხალხთა მეგობრობის მგოსნის საიათ-ნოვას ქუჩაზე უკვე აშენდა მეორე სასტუმრო „ანი“, რომელიც 14 სართულისაგან შედგება. დაიწყო მეორე სამგზავრო-სადგურო გზის მშენებლობა. იგი კონდს დააკავშირებს ციცერნაკაბერდის ბორცვთან, სადაც ამასწინათ უზარმაზარი პარკის ცენტრში მემორიალური ძეგლი დაუდგეს 1915 წლის გენოციდის მსხვერპლთ.

საბაგირო გზა გაიკიმება მდინარე რაზდანის ღრმა ხეობაზე, სადაც ოცზე მეტი საგუბარ-აუზია, რომლებიც კასკადებად ეშვებიან მდინარის კალაპოტში. ამ საგუბრებმა შექმნეს მნიშვნელოვანი წყლის ზედაპირი და ზაფხულის დღეებში მრავალ ათას ერევნელს იზიდავენ.

ერევნის სამხრეთით გადაშლილია ერევნის ზღვა. მისი 60 ჰექტარი ზედაპირი შეიქმნა უზარმაზარი ჯებირის მეოხებით, რომელმაც მდინარის კალაპოტი გადახიდა. ამავე დროს ჯებირმა ერთმანეთს დაუკავშირა ერევნის სამრეწველო რაიონები — ლენინისა და შაუმიანის რაიონები. იქ გაკეთებულია აგრეთვე ტრამვაის ხაზი.

ახლა ამ წყალსატევის გარშემო 800 ჰექტარ ფართობზე აშენებენ დასვენების პარკს, იქმნება ნავების სადგურები, სპორტული მოედნები, კაფეები და რესტორანები. ერევნის ზღვაზე მალე იფლეთან წყლის ტრამვაები, რომლებიც ქალაქის გარეუბნიდან უმოკლესი გზით მიიყვანენ მგზავრებს „გამარჯვების“ ხიდის რაიონში.

ხალხის სიყვარული

ერევანი ხომეინი ხალხის ისტორიაა. მისი ძეგლები და მონუმენტები უკვდავყოფენ ერევნელი ისტორიის ბევრ დიდებულ მოვლენას. სიყვარულით შესცქერიან ამ ადგილებს ადგილობრივ ადამიანებს. ამ ადგილებზე ... ...ოლ ... ...ოლ ... ...ოლ

ᲥᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲘᲡᲝ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ, ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲔᲑᲘ

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲗᲮᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲝᲬᲝᲜᲘᲫᲔ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ რამდენიმე კომისია გამოყო იუბილეს ცალკეული საკითხების ხელმძღვანელობისათვის. ერთ-ერთი კომისია იყო საგამომცემლო, რომელსაც უნდა ეზრუნა საიუბილეო თარიღისათვის, მოემზადებინა და გამოეცა ბეჭდური პროდუქცია — წიგნები, ბროშურები, სამეცნიერო შრომები. მათში უნდა ასახულიყო უნივერსიტეტის დაარსების ისტორია, მისი განვითარების გზები 50 წლის მანძილზე, მისი როლი ქართული კულტურისა და ეკონომიკის განვითარებაში. გარდა ამისა საჭირო იყო იუბილეზე ჩამოსული მრავალი სტუმრისათვის, რომლებიც როგორც საბჭოთა რესპუბლიკებიდან, ისე საზღვარგარეთიდან არიან მოწვეული; მიგვეცა რუსულ და ინგლისურ ენებზე საცნობარო ლიტერატურა საქართველოს ისტორიის, მისი კულტურისა და ეკონომიკის ევოლუციის გზების, უნივერსიტეტის დამაარსებელთა მოღვაწეობის და სხვა საკითხების შესახებ. საგამომცემლო კომისიის პირველსავე სხდომაზე მისმა წევრმა აკადემიკოსმა ვ. კუპრაძემ წამოაყენა აზრი, რომ საჭიროა ცალკეულ ცნობილ მეცნიერებს სპეციალურად შეეუკეთოთ ამ თარიღისათვის მეცნიერული შრომების დაწერაო. ბევრმა ამხანაგმა, (მათ შორის მეც.) ეჭვი გამოთქვა, რომ დარჩენილ 6-7 თვეში შესაძლებელი ყოფილიყოს ხერხიოზული მეცნიერული შრომის დაწერა და მისი დაბეჭდვაც. ვ. კუპრაძემ კი დაგვიმტკიცა, რომ ეს საკუთარი შესაძლებელია, რადგან მისი და მისი კოლეგების ნაშრომი სარეკორდოდ მოკლე დროში იქნა გამოცემული.

სულ განზრახული იყო 30-ზე მეტი დასახელების წიგნის გამოცემა.

საიუბილეო გამოცემათა უმრავლესობა უკვე გამოვიდა. მათ შორის არის ს. ჯორბენაძის „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია (1918-1968)“, დ. ჯიქიას და ვ. ქარუმიძის „თბილისის უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია“, „თბილისის უნივერსიტეტი (1918-1968 წწ)“ (ცნობარი), შ. ძიძიგურის „ქართული ენა“ (რუსულ ენაზე), ი. მიქელაძის „საქართველოს სახალხო მეურნეობა და თბილისის უნივერსიტეტი“, შ. მესხიას „საქართველოს ისტორია“, ალ. ბარამიძის და დ. გამეზარდაშვილის „ქართული ლიტერატურა“, შ. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნება“, დ. გვრიტიშვილის „ივანე ჯავახიშვილი“, ლ. მენაბდის — „ვანათლების კერები ძველ საქართველოში“, ნ. ნაჭყებიას „საქართველოს სსრ ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა“.

თბილისის უნივერსიტეტს მიუძღვნეს თავიანთი შრომები ჩვენმა ახალგაზრდა მეცნიერებმაც.

მე, ცხადია, მიზნად არა მაქვს და არც შემიძლია ამ შრომების მეცნიერული ღირებულება შევაფასო. ეს სათანადო სპეციალისტთა საქმეა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათ შესახებ ვრცელ რეცენზიებს მალე ვიხილავთ. ზოგადად კი ახლაც შეიძლება თქვას, რომ ეს ნაშრომები დიდი წვლილია ნაბეჭური მეცნიერების სათანადო დარგების განვითარებაში. ამის შესახებ მეტყველებს თვით ავტორთა სახელებიც. მე მხოლოდ დავასახელებ უნივერსიტეტისადმი მიძღვნილ შრომებს, რომლებიც მეტწილად უნივერსიტეტშივე ჩატარებული მეცნიერული მუშაობის შედეგია და სპირად შესაბამისი ქართული მეცნიერული სკოლის მიღწევების სალუსტრაციოდ შეიძლება გამოდგეს. ასეთი შრომებია: აკად. ი. ბერიტაშვილის — ხერხემლიან ცხოველთა მეხსიერება, მისი დახასიათება და წარმოშობა, აკად. გ. ჭიბლაძის — ესთეტიკური აღზრდის პრინციპები, აკად. ა. ჩიქობავას — მარტივი წინადადების პრობლემა ქართულ ენაში, აკად. შ. ამირანაშვილის — სხვადასხვა დროს საქართველოდან გატანილი საგანძურები და მათი დაბრუნება.

ზევით უკვე აღვნიშნეთ აკად. ვ. კუპრაძის და მისი თანამშრომლების მეცნიერებათა დოქტორების თ. გეგელიას, მ. ბაშელეიშვილის და თ. ბურჭულაძის შრომა „დრეკადობის მათემატიკური თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“, რომელიც სარეკორდოდ მოკლე დროში დაიწერა და გამოიცა. გარდა ამისა, უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა „პირველი ხმივის“ სპეციალური ნომერი და კრებული „უურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“.

საიუბილეო საგამომცემლო გეგმის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტსა და თბილისის უნივერსიტეტის საგამომცემლო კომისიასა და გამომცემლობას, რომლებსაც არ დაუზოგავთ არც დრო და არც გამოცდილება ამ საქმის წარმატებისათვის. სერიოზული მუშაობა გახწიეს ავტორთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ და სტამბამ.

ბუნებრივია, რომ მათი ხელმძღვანელები გამომცემლობისა და სტამბის ყოველი მუშაკი, რომელთაც ასეთი სიყვარულითა და მონდომებით იმუშავეს საიუბილეო გამოცემების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, იმსახურებენ არა მარტო საიუბილეო კომიტეტის, არამედ მთელი ქართველი ხალხის დიდ მადლობას.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲓᲔᲙᲔᲣᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲣᲜᲧᲔᲑᲘᲐᲜ

ᲡᲐᲣᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 17 ოქტომბერი. (საკდესი). „ნოიეს დოიჩლანდი“, „ბერლინერ ცაიტუნგი“ და „იუნგე ველტი“ პირველ გვერდზე აქვეყნებს დღეს ცნობას, რომ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობებმა დადეს ხელშეკრულება ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნის პირობების შესახებ. გაზეთები ითავსებენ იმ სიტყვების სრულ ტექსტს ან შინაარსს, რომლებიც ხელშეკრულების ხელმოწერისას წარმოთქვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ო. ჩერნიკმა. გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა სახელმწიფოსთან კავშირი საიმედოდ უზრუნველყოფს ჩეხოსლოვაკიის საზღვრების ხელშეუხებლობასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროებას.

„ბერლინერ ცაიტუნგი“, ბეჭდავს რა ა. ნ. კოსიგინის სიტყვის შინაარსს, ხაზს უსვამს იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: „ძირითადი ამოცანა, რომელიც უნდა შეასრულოს ამ ხელშეკრულებამ ის არის, რომ შეეძლოს ჩეხოსლოვაკიის, მის სოციალისტურ მონაპოვართა უშიშროების უზრუნველყოფის მტკიცე გარანტიები, საიმედოდ დაიცვას მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესები იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების ხელყოფისაგან.

გაზეთი „იუნგე ველტი“ უყურადღებას უთმობს ა. ნ. კოსიგინის სიტყვებს, რომ „სოციალიზმის მტრებს არ დაუყრიათ იარაღი, არ აუღიათ ხელი ძირგამომთხრელ გეგმებზე. ყოველივე ეს გვავალებს ვიყოთ სავსებით მომზადებული, დროზე ვიხმაროთ ყველა საჭირო ღონისძიება სოციალისტური ქვეყნების ხალხთა საერთო საქმის დასაცავად. ამას ისახავს მიზნად ჩვენი ხელშეკრულება“.

ᲠᲣᲛᲘᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲗ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 17 ოქტომბერი. (საკდესი). „სინტეია“, „რომანია ლიბერე“, „მუნკა“ და სხვა რუმინული გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ ცნობას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ო. ჩერნიკმა. გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა სახელმწიფოსთან კავშირი საიმედოდ უზრუნველყოფს ჩეხოსლოვაკიის საზღვრების ხელშეუხებლობასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროებას.

ᲛᲐᲚᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲐᲜᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 17 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტები კ. ბელაევი და ე. ბასკაკოვი გვატყობინებენ:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა ზოგადი დისკუსია.

იმპერიალიზმის ადვოკატის არასახარბიელო როლში გამოვიდა მალავის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ა. ნიასულუ. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების მიუხედავად, უშიშროების საბჭოს რეზოლუციათა აშკარად საწინააღმდეგოდ, იგი ცდილობდა გაემართლებინა ისრაელის აგრესიული პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, აგრეთვე დასავლეთის იმ სახელმწიფოთა მოქმედება, რომლებიც აქეზებენ და მხარს უჭერენ ისრაელის მხეცრობონის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს.

მალავის წარმომადგენელმა გაილაშქრა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩნინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის წინააღმდეგ.

სენეგალის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. კ. გემ სასტიკად გააკიცხა პორტუგალიის კოლონიური ომი ამ ქვეყნის აფრიკულ კოლონიათა ხალხების წინააღმდეგ. აგრეთვე სამხრეთ როდეზიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმების პოლიტიკა, რომლებიც ანარქიულის სამარცხენო სისტემას ნერგავენ და ფეხქვეშ თელავენ აფრიკელი მოსახლეობის შეუვალ უფლებებს. სენეგალის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ახლო აღმოსავლეთში შექმნილ სიშიშ დაძაბულობას საფუძველად უდევს ისრაელის დანაპაულებრივი მოქმედება, რომელიც კვლავ არღვევს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, არ ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს იერუსალიმის არაბული ნაწილის ბედის საკითხზე და უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც მოითხოვს ისრაელის საოკუპაციო ჯარების გაყვანას დაპყრობილი არაბული ტერიტორიებიდან.

ა. კ. გემ შემდეგ აღნიშნა, რომ ვიეტნამის ომი სენეგალის მთავრობის დიდ შეშფოთებას იწვევს, მით უმეტეს, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარომადგენელთა პარიზის სიუბრებს ჯერჯერობით არ მოჰყოლია დადებითი შედეგები იმის გამო, რომ ვაშინგტონი უარს ამბობს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის შეწყვეტაზე. შემდეგ მან მოითხოვა ყოველნაირად გაფართოვდეს საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობა გაშეთარებად სახელმწიფოთა ინტერესების გათვალისწინებით.

ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფ. მ. კასტიელა — ი. მაისმა აღიარა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს განიარაღების, დეკოლონიზაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემებს. მაგრამ თავისი გამოსვლის ძირითადი ნაწილი ესპანეთის წარმომადგენელმა მიუძღვნა თაეის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ხოტბას, აგრეთვე ცდილობდა დაესაბუთებინა ესპანეთის მთავრობის პრეტენზიები გიბრალტარის ტერიტორიაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კულ-



ტურებში აღნიშნავენ, რომ ესპანეთის მინისტრმა არსებითად დუმილით აუარა გვერდი დღის წესრიგის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს და არ წამოუყენებია არავითარი კონკრეტული წინადადება, დასჯერდა მხოლოდ ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის ზოგად ხუთვილებს.

არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნ. კოსტა ტენდესმა აღნიშნა საერთაშორისო ვითარების სასიში გამწვავება და ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა გაძლიერდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი კონფლიქტების პოლიტიკურ მოწესრიგებაში. მისი აზრით, ვიეტნამის პრობლემა უნდა გადაიჭრას „ვიეტნამელი ხალხის თვითგამორკვევის საფუძველზე“, აგრეთვე მან მხარი დაუჭირა ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის გიარინგის მისიას, რომელიც მიზნად ისახავს მტკიცე მშვიდობის აღდგენას ამ რაიონში.

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲗᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲓᲠᲘᲡᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 17 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტმა (სოციალურ, ჰუმანიტარულ საკითხთა და კულტურის საკითხთა კომიტეტმა) მოიწონა პროექტი საერთაშორისო კონვენციისა იმის შესახებ, რომ სამხედრო დამნაშავეებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მიმართ არ გამოიყენონ ხანდაზმულობის ვადა.

პროექტს ხმა მისცა 58 დელეგაციამ, 32 დელეგაციამ თავი შეიკავა; ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინდოსმა, პორტუგალიამ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, ჰონდურასმა და ავსტრალიამ ხმა მისცეს წინააღმდეგ.

კონვენციის პროექტში განსაზღვრულია სამხედრო დანაშაულობანი და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანი, მოყვანილია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა შესაბამისი ვალდებულებანი.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა, ხაზგასმულია პროექტში, მიხი რატიფიკაციის დროს უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ, რომ არ გამოიყენონ ხანდაზმულობის ვადა ან სხვა შეზღუდვები აღნიშნულ დანაშაულთა დევნისა და დასჯის მიმართ; იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი შეზღუდვები არის, უნდა გაუქმდეს.

ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲡᲘ, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ვენესუელის კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა ხალხს მომავალ საყოველთაო არჩევნებში, რომელიც დეკემბერში გაიმართება, ხმა მისცეს კანდიდატებს, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ გააძევონ ვენესუელიდან იანკების სამხედრო მისია — „ვენესუელის პროგრესის წინააღმდეგ შეთქმულებათა კერა, მისია, რომელიც აქეზებს რეპრესიებისათვის ვენესუელელი პატრიოტების წინააღმდეგ“.

გამოქვეყნებულ განცხადებაში „კომპარტია მოითხოვს აგრეთვე პროგრესულ ცვლილებებს ქვეყანაში, კერძოდ საყოველთაო და პრულ ანალფაბეტიას, კომპარტიისა და „შემარცხენეთა რეგოლუციური მოძრაობის“ პარტიის ლეგალიზაციას, რეპრესიული პოლიტიკური ორგანოების დაშლას, იმ პირთა დასჯას, რომლებსაც პასუხისმგებლობა აკისრიათ პოლიტიკურ დანაშაულთათვის და სხვ.

როგორც განცხადებაში ხაზგასმულია, ამ ცვლილებებმა ვენესუელელებს უნდა მისცეს საშუშაო და საცხოვრებელი ბინები, უზრუნველყოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელება, სოციალისტურ ქვეყნებთან, აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებთან, აგრეთვე კუბასთან ურთიერთობის დამყარება.

ვენესუელას კომუნისტურმა პარტიამ მოითხოვა გააუქმონ ყველა შეთანხმება, რომლებიც ზიანს აყენებენ ეროვნულ სუვერენიტეტს, და განახორციელონ ნავთობის საკითხში პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ ინტერესებს და ბოლოს მოუღებს უცხოეთის მონოპოლიებზე დამოკიდებულებას.

ᲘᲔᲛᲔᲜᲘ — **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ**

ᲪᲮᲐᲠᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 17 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ იემენის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებსაც მეთაურობდა პრემიერ-მინისტრი და მთავარსარდალი გენერალ-ლეიტენანტი ჰასან ალ-ამრი, დაიწყეს დიდი სამხედრო ოპერაცია იმ გზის განთავისუფლებისათვის, რომელიც რესპუბლიკის დედაქალაქს სანაა აკავშირებს იემენის არაბთა რესპუბლიკის უდიდეს ქალაქ ფაიზთან. ეს ქალაქი უკანასკნელი ათი თვის მანძილზე გარე სამყაროს მოწყვეტეს მონარქისტებმა, იეწყება მენის საგენტო, რესპუბლიკური არმიის მხარეზე იბრძვიან აგრეთვე იემენის მთელი რიგი ტომები. პირველი ცნობების თანახმად, რესპუბლიკურმა ძალებმა მონარქისტები გაიძევეს პოზიციებიდან სანის სამხრეთით მთებში და დაიწყეს მათი დევნა.

ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲔᲜ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲮᲛᲐᲡ ᲖᲐᲜᲒᲔᲑᲘ?

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ზანგ ამომრჩეველთა უმრავლესობა პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში მხარს დაუჭერს ჰუბერტ ჰემფრის კანდიდატურას, გამოაცხადა ლუის ჰარისის სამსახურმა, რომელიც აწყობს ხაზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას.

მაგრამ პროგრამა, რომლითაც დემოკრატები გამოდიან წინასაარჩევნო კამპანიაში, ყველა მეტნაკლებად გავლენიანი ზანგი ლიდერის სერიოზულ შენიშვნებს იწვევს.

ზანგთა „გამოძიების ეროვნული კომიტეტის“ კონფერენციაზე, რომელიც გერში (ინდიანის შტატი) გაიმართა, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კომიტეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს ჰემფრის, თუ იგი პირობას დადებს იმბრაოს ეფექტიანი ღონისძიებანი ქვეყნის ზანგი მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის და კატეგორიულად გაილაშქრებს ვიეტნამის ომის წინააღმდეგ.

კომიტეტში შედის ბევრი თვალსაჩინო ზანგი მოღვაწე, მათ შორის დოქტორ მარტინ ლუთერ კინგის ქვრივი კორეტა კინგი, მომღერალი ჰარი ბელაფონტე და სხვა პირები, რომლებიც დიდი გავლენით სარგებლობენ ამერიკის შეერთებული შტატების ზანგ მოსახლეობაში.

თუ ჰემფრიმ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნები, კომიტეტი მოუწოდებს ზანგ მოსახლეობას მოიკოტი გამოუცხადოს პრეზიდენტის არჩევნებს.

„პრეზიდენტობის მთავარი კანდიდატები, — ნათქვამია კომიტეტის განცხადებაში, — სულ უფრო უწევენ ანგარიშს რასისტებს, რეაქციონერებს“, აგრეთვე იმათ გამოსვლებს, ვისაც ამოქმედებს შიში ზანგების წინაშე.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 17 ოქტომბერი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის ნეონაციხტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციის გამგეობამ გამოაცხადა თავისი ორგანიზაციის დაშლა. ამას იუწყება დღეს ადგილობრივი რადიო.

როგორც ცნობილია, დასავლეთ ბერლინის სენატმა საზოგადოებრივის ზეგავლენთ ოქტომბრის დამდეგს დასავლეთის სამი სახელმწიფოს სამხედრო ხელისუფალთ მიმართა თხოვნით აეკრძალათ დასავლეთ ბერლინის ნაციონალ-დემოკრატიული პარტია. სენატის ამ ნაბიჯმა, რომელიც უწინარეს ყოვლ-ისა გამოიწვია ფართო პროტესტებმა დასავლეთ ბერლინში და საზღვარგარეთ შპრეეს ნაპირებზე „მიხაკისფერთა“ სიშიში აქტივიზაციის წინააღმდეგ, და შესაძლო აკრძალვის საფრთხემ, აიძულა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის „ფიურერები“ მიეღოთ ასეთი გადაწყვეტილება.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲐᲞᲝᲚᲝᲜ-7“

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 16 ოქტომბერი. (საკდესი). მეექვსე დღეა ამერიკული კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-7“ განაგრძობს ფრენას დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე.

დღეს, როცა ხომალდმა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიას გადაუფრინა, განხორციელდა პირდაპირი ტელეგადაცემა ხომალდიდან დედამიწაზე. ეს ფრენის დროს ხუთჯერ მესამე გადაცემაა. უწესიერობის გამო, რომელიც მისაღებ სადგურში წარმოიშვა ორბუს-კრისტიში (ტეხასის შტატი), ტელეგადაცემა შეამცირეს, ხოლო გამოსახულების ხარისხი რამდენადმე უარესი იყო, ვიდრე წინა დღეებში.

როგორც პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ცენტრში ჰიუსტონში (ტეხასის შტატი) განაცხადეს სპეციალისტებმა, კოსმონავტებმა დაამთავრეს პროგრამით დასახული ექსპერიმენტების დახლოებით ორი მესამედი.

როგორც საგენტოები იუწყებიან, ჰიუსტონის საკონტროლო ცენტრში შეშფოთებენ, რომ ტროპიკული გრიგალი, რომელიც კარიბის ზღვაში ბობოქრობს, გაძნელებს ატლანტის ოკეანეში კოსმოსური ხომალდის დაჯდომას.

ᲛᲝᲖᲐᲛᲑᲘᲙᲘ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ

ᲓᲐᲠ-ᲔᲡ-ᲡᲐᲚᲐᲛᲘ, 17 ოქტომბერი. (საკდესი). მოზამბიკში მშრალი სეზონის დადგომის შემდეგ პორტუგალიელი კოლონიზატორები უმეტესად ცდილობენ გააქტიურონ სახმელეთო დამსჯელი ოპერაციები. ამასთან მათ სულ უფრო მეტი ზარალი მოსდით ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ, ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც აქ გაავრცელა მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის (ფრელიმო) შტაბ-ბინამ.

კოლონიზატორები ცდილობენ მშვიდობიან მოსახლეობაზე ბარბაროსული საპაერო თავდასხმებით აინაზღაურონ დანაკლისი, ცდილობენ დააშინონ ხალხი და აიძულონ გამოვიდეს ფრელიმოს მომხრეთა წინააღმდეგ. საპაერო ოპერაციებში, აღნიშნულია „კომუნიკეში, პორტუგალიელები ფართოდ იყენებენ ნაპალმს, განსაკუთრებით ნიასის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილის მცხოვრებთა წინააღმდეგ.



ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ,
18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1968 Წ.

ᲔᲡᲔᲪ ᲨᲔᲜᲘ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ“!

● ᲙᲣᲨ

ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔᲜᲘ

ᲙᲝᲠᲣᲪᲘᲐ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროში ძლავრად აქვს ფესვები გადგმული, დიდი ხანია საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი გახდა. კანონმდებლები, პოლიტიკური კაპიტალის მოხვეჭას რომ ესწრაფვიან, მის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას მოითხოვენ; ოფიციალური მოხელეები აცხადებენ, უახლოეს დროში მექრთამეობას ბოლო მოეღებაო, მაგრამ...

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოხდა მორიგი სკანდალი. ამჯერად მახეში გაება ნიუ-იორკის მერის თანაშემწე ჯეიმს მარკუსი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ქალაქის წყლით მომარაგებისათვის.

მაღალი თანამდებობის მოხელე ბლომადაც იღებდა: მარკუსმა ერთ-ერთი სამშენებლო ფირმისაგან იმისთვის, რომ მას ქალაქის წყლით მომარაგების რეზერვუარის დაცლის უფლება მისცა, 40 ათასი დოლარი ქრთამი მიიღო. გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მსვლელობაში გამოიკვეთა, რომ მარკუსს მჭიდრო კავშირი ჰქონია ქალაქის ბორბოტმოქმედებთან და ნაძირალებთან. მაგალითად, მასთან ერთად დაპატიმრეს ნიუ-იორკის მაფიის ერთ-ერთი მეთაური „ტონი დაკი“ — ვინმე ანტონიო კორალო.

საინტერესოა, რომ მარკუსმა— ქალაქის მერ ლინდსეის ახლო მეგობარმა — დაპატიმრებამდე ერთი კვირით ადრე გადადგომა მოითხოვა, რითაც საოცარი „წინათგრძნობა“ გამოავლინა.

როდესაც ლინდსეიმ თავისი მეგობრის დაპატიმრების ამბავი გაიგო, მან, როგორც ახეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, აღშფოთებული სიტყვა წარმოთქვა და ამ ამბავს „პირადი და საზოგადოებრივი ნდობის“ ბოროტად გამოყენების დაუშვებელი აქტი უწოდა.

მიუხედავად ამისა, მარკუსს, რომელიც თავისი სამსახურებრივი თანამდებობით ვაჭრობდა, მეტად ლმობიერი განაჩენი გამოუტანეს.

იგი მცირე ხნით საპყრობილეში ჩასვეს. მაგრამ რომელ საპყრობილეში მოათავსებენ ისეთ სოციალურ ბოროტებას, როგორიც მექრთამეობაა, რომელსაც ამერიკის გახრწნილი საზოგადოება ბადებს?

● ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

ᲠᲐ ᲓᲐᲐᲨᲐᲕᲔᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲛᲐ?

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡᲨᲘ ექვსიდან ცამეტ წლამდე ასაკის მილიონნახევარზე მეტი ბავშვი სკოლაში არ დადის. ეს აღიარა ამას წინათ მადრიდის კათოლიკურ გაზეთ „აბც“ ფურცლებზე დაწერილმა ნათესავებმა. ეს ფაქტი ესპანეთის ხალხის თვითგამორკვევის საფუძველზე“, აგრეთვე მან მხარი დაუჭირა ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის გიარინგის მისიას, რომელიც მიზნად ისახავს მტკიცე მშვიდობის აღდგენას ამ რაიონში.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ. მესამე კვირაა ჩიკაგოს სკოლებში გრძელდება რასობრივი მღელვარება. ამის საბაბი გახდა ოფიციალური ხელისუფლების კატეგორიული უარი, რათა სასკოლო პროგრამაში შეეტანათ ამერიკის ზანგი ხალხის ისტორიის კურსი.

მოსწავლეებმა მოითხოვეს აგრეთვე სკოლებში რასობრივი ბარიერების მოსპობა და უფლება, რომ პედაგოგიურ მუშაობაში მონაწილეობა მიიღებინონ ზანგებსაც.

პოლიციასთან შეტაკების შედეგად არიან დაჭრილები. თექვსმეტი კაცი დაპატიმრეს.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: პოლიციელები უსწორდებიან დემონსტრანტებს.

ფოტო გაზეთ „ტაიმსიდან“

● ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲧᲐ

ნაირ-ნაირი

„ახუნის“ რეიესი

თევზვეი ტრაულერი „ახუნი“ რეისიდან დაბრუნდა. იგი რეწვას ეწეოდა ატლანტიკის სამხრეთ - აღმოსავლეთ რაიონში.

ეკიპაჟის წევრების წინაშე დასახული იყო ასეთი გეგმა: 111 სარეწაო დღეში უნდა დაეჭირათ 23.850 ცენტნერი თევზი, გადაეტანათ 23.330 ცენტნერი და დამზადებინათ 2.780 ცენტნერი თევზის ფქვილი.

ეკიპაჟის წევრების შეუპოვარი, დაუღალავი შრომით გეგმა შესრულდა.

შრომაში თავი ისახელეს ბრიგადირებმა შ. მელაშვილმა, დ. გუნინამ, ოსტატმა მებადურმა გ. ეპიფანოვმა, მეზღვაურებმა მაღულარიამ, ბინგოიანმა, ქიმერიძემ და სიმონიამ, მეორე მექანიკოსებმა ვ. გიგიბერიამ, გ. ტარანიუკმა, მემანქანე ა. ხაუმიამ და უფროსმა ელექტრომექანიკოსმა ს. ბლაშკომ.

ტრაულერმა (კაპიტან-დირექტორი ნ. თავაძე) 100 პროცენტით შეასრულა წლიური დავალება.

ლ. ნერგაძე,
ექსპლოატაციის განყოფილების უფროსი ინჟინერი.

ქართველ ხელოვანთა მონაწილეობით

ამ სტრიქონებს ვწერ ლენინგრადის ა. ს. პუშკინის სახელობის დრამის აკადემიური თეატრის პარტერში. მიმდინარეობს ერთ-ერთი უკანასკნელი რეპეტიცია სოფოკლეს განთქმული ტრაგედიის „ანტიგონესი“, რომელსაც აქ დგამს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. ალექსიძე.

შესვენებისას მან გვიამბო, თუ როგორია მისი გაგება „ანტიგონესი“ — ტრაგედიისა, რომელიც ახსნას ტირანიის წინააღმდეგ იღმდგარი თავისუფალი სულის სიდიადეს. ეს არის დიდ ძლიერ პიროვნებათა კონფლიქტი.

რამდენიმე წლის წინათ „ანტიგონე“ დავდგი კიევში ივანე ფრანკოს სახელობის თეატრში, — ამბობს დ. ალექსიძე. — სპექტაკლმა ბაღალი შეფასება მიიღო. მაგრამ ლენინგრადელები სოფოკლეს ამ ქმნილებას სხვა რედაქციით ნახავენ და მე ფრიად მოხარული ვარ, რომ შევძელი განმეხორციელებინა იგი სწორედ აკადემიური თეატრის სცენაზე, თეატრისა, რომელიც დიდი პუშკინის სახელს ატარებს. ეს სახელი ბევრ რამეს გვავალებს, უწინარეს ყოვლისა პოეტიკას, რომანტიკას, მაღალ გრძნობებს.

სპექტაკლის რეჟისორია ვ. სუციპინი. ძალიან საინტერესოა გაფორმება, რაც შესრულებულია საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ფ. ლაპიაშვილის მიერ. კომპოზიტორი, რომელსაც აგრეთვე თვალსაჩინო როლი ეკუთვნის სპექტაკლში, ო. თაქთაქიშვილია. ცეკვები დადგა ახალგაზრდა ნიჭიერმა ქორეოგრაფმა გ. ალექსიძემ.

ო. კარიშვილი,
ჩვენი ლენინგრადელი კორესპონდენტი.

თბილისელი მეცნიერი გერმანულ ჟურნალში

გასულ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი ზურაბ ჭარხალაშვილი მიწვეული იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოჩენილი გერმანელი დრამატურგისა და რეჟისორის ბერტოლდ ბრეხტის შემოქმედებისადმი მიძღვნილ დიდ სამეცნიერო კონფერენციაზე. აღნიშნული კონფერენციის ჩატარების ორგანიზატორი იყო ლაიპციგის კარლ მარქსის სახელობის უნივერსიტეტის გერმანული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ და მოხსენებები წაიკითხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, უგოსლავიის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, სირიისა და სხვა ქვეყნების გამოჩენილმა ლიტერატორებმა და თეატრმცოდნეებმა.

დოცენტ ზურაბ ჭარხალაშვილის მოხსენებამ „ბრეხტის „კაპიტალური ცარცის წრე“, მისი შემოქმედებითი ისტორია და „ბაუცხოვნის“ თეორიის ზოგიერთი საკითხი“ დიდად დაინტერესა ფორუმის მონაწილე გამოჩენილი მეცნიერები და მისი გერმანელი კოლეგები.

ახლახან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მივიღეთ ყოველთვიური ლიტერატურული სამეცნიერო ჟურნალ „ბაიმარერ ბეიტრეგეს“ სპეციალური ნომერი, მიძღვნილი ბ. ბრეხტის შემოქმედებისადმი.

ჟურნალში გერმანელ მეცნიერთა შრომებს გარდა დასტამბულია იუგოსლავიის ქალაქ სარაევოს უნივერსიტეტის პროფესორის პრედრაგ კისტიჩის, იტალიელი მეცნიერის პაოლო ჯიარინისა და ქართველი გერმანისტის ზურაბ ჭარხალაშვილის მოხსენებები, რომლებიც მათ ბრეხტისადმი მიძღვნილ კონფერენციებზე წაიკითხეს.

ნ. იმნაიშვილი.

ამინდი

აცივდება?!

თბილი და მზიანი შემოდგომაა საქართველოში, სწორედ ხელსაყრელი დრო ჭირნახულის ასაღებად. კარგი ამინდებით კმაყოფილი არიან მშრომელები, რომლებიც ახლა საქართველოს საუკეთესო კურორტებსა და დასასვენებელ ადგილებში ატარებენ თავიანთ შვებულების დღეებს.

ბუნებრივია, ჩვენი გაზეთის მკითხველებს აინტერესებთ, როგორი ამინდია მოსალოდნელი უახლოეს დღეებში. ამ მიზნით „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის ამინდის ბიუროს უფროს ინჟინერ-სინოპტიკოსს ალექსანდრე ინანაეს.

— უახლოეს ორ-სამ დღეში კვლავ მოსალოდნელია კარგი ამინდები, — გვითხრა მან, — 18 ოქტომბრიდან დასავლეთ საქართველოში გახშირდება წვიმები, ტემპერატურაც მცირედ შეიცვლება. მაქსიმალური ტემპერატურა დღისით იქნება 19-24 გრადუსი, მინიმალური ღამის საათებში 8-13 გრადუსი.

ასე გაგრძელდება 24 ოქტომბრამდე. ასეთივე მდგომარეობა იქნება აღმოსავლეთ საქართველოშიც. 20 ოქტომბრამდე უმეტესად მოსალოდნელია უნალექო ამინდი, 20-დან 24 ოქტომბრამდე წვიმები, შემდეგ დღეებში ამინდი კვლავ გაუმჯობესდება. საერთოდ წლევანდელი ოქტომბერი გასულ წლის ამ თვის დღეებთან შედარებით გაცილებით უკეთესია.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ახალი მაღაზიის ერთ-ერთი კუთხე. ფოტო ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

ᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

მშრომელთა სეფრის დასამშვენებლად

ᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ

ყოველწლიურად ლამაზდება და დღეებმა მეტ-ნაკლებობა ეს ტენდენცია — უფრო კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი დედაქალაქის ლენინის რაიონი. მარტო ავჭალის გზატკეცილის მიდამოებში ამენდა ბევრი სანიმუშოდ მოწყობილი საცხოვრებელი ბინები. ამ უბანში დაახლოებით 10 ათასამდე მცხოვრები იქნება.

აქაური მოსახლეობა პროდუქტების საყიდლად ორჯონიკიძის და სხვა რაიონების საკოლმეურნეო ბაზრებში დადიოდა. ამ დღეებში თბილისმოსტანვაჭრობამ ავჭალის გზატკეცილის ქუჩაზე გახსნა მაღაზია № 72, რომელიც სანიმუშოდ არის მოწყობილი. ახალ მაღაზიაში ნახავთ ბოსტნეულის, ხორცის, მინერალური წყლების, ხილისა და სხვა განყოფილებებს, სადაც ბლომად არის პროდუქტები. ბოსტნეულის განყოფილებამ (გამყიდველი ზ. ძეგვლიშვილი) მარტო გუშინ მომხმარებლებს მიაწოდა 570 მანეთის ბოსტნეული. ხალხი დიდად კმაყოფილია მაღაზიის გახსნით.

— ვმუშაობ ზენიკლად კროვის ჩარხსამშენებლო ქარხანაში, — გვითხრა ზ. ათანელიშვილმა, — ორი მეცირეწლოვანი ბავშვი მყავს და ჩემი მეუღლე პროდუქტების საყიდლად ვერ დადის. ამიტომ ოჯახისათვის ბოსტნეულის საყიდლად საკოლმეურნეო ბაზარში შესვენებისას ან დასვენების ნებაზე ვიმეორებ, ეს ადგილი ძალიან ადვილია. ეს ადგილი ძალიან ადვილია. ეს ადგილი ძალიან ადვილია.